პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს. ამ მიზნით სუბსიდირება გაეწევა ა(ა)იპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების კეთილმოწყობის სერვის ცენტრს. აიპის ფუნქციონირების ხარჯები მთლიანად ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტით. დასუფთავების მომსახურება მოიცავს მთლიანად ქალაქ ჭიათურას და მის შემოგარენს. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელიდან ხორციელდება ნაგვის გატანა დასუფთავების სპეცმანქანებით.განხორციელდება სანაგვე ურნების შექმნა და საჭიროებისამებრ განთავსება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანას	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		3553.327
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს. ამ მიზნით სუბსიდირება გაეწევა ა(ა)იპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების კეთილმოწყობის სერვის ცენტრს. აიპის ფუნქციონირების ხარჯები მთლიანად ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტით. დასუფთავების მომსახურება მოიცავს მთლიანად ქალაქ ჭიათურას და მის შემოგარენს. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელიდან ხორციელდება ნაგვის გატანა დასუფთავების სპეცმანქანებით, ასევე განხორციელდება ნაგუთის დასახლებაში ცენტრალური სასაფლაოს კეთილმოწყობის სამუშაოები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ქვათაცვენის ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02		350.021
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
	მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ქვათაცვენის ლიკვიდაციის ღონისძიების აღმოფხვრა რათა მოსახლეობის გადადგილება მოხდეს უსაფრთხოდ. ქვეპროგრამის		



პროგრამის აღწერა და მიზანი	ფარგლებში განხორციელდება საქართველოს მთავრობის №2400 განკარგულებით ქალაქ ჭიათურაში კლდოვანი ფერდობის ქვათაცვენის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობა თბილისის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიისა და ზედაარგანის ფერდობის დამრული ლოდების ჩამოწმენდის სამუშაოები (ობიექტს გაეწევა ზედამხედველობა).
----------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე არხების აღდგენა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 04		6.500
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მოწესრიგებული სანიაღვრე არხები, რათა უზვი ნალექიანობისას არ მოხდეს სავალი ნაწილების დატბორვა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ წირქვალში ქვედა ბრეგვაძეების უბანში (ალექსანდრე ბრეგვაძის სახლის მიმდებარედ) სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები ქ. ჭიათურაში მეორე ატეკასთან გზის გასწვრივ სანიაღვრე არხის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად.		

მუხლი 15.

განათლება 04 00

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		9080.000
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 32 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1200-მდე ბავშვი. ბავა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 800 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:</p> <p>-ბავა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და</p>		



სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;

-ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექტიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;

-ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

-ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;

-ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;

-ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03		2253.016
ქვეპროგრამის განმარტებული	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის განკარგულებით განხორციელდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება. ასევე განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის №1098 განკარგულებით სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯარო სკოლის გათბობის სისტემისა და ოთახების რეაბილიტაცია, №2 საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ თაბაგრების საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლის - პროფესიული განათლების ოთახების რეაბილიტაცია და №2 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ოთახების რეაბილიტაცია. ობიექტებს გაეწევა ზედამხედველობა.		

მუხლი 16.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 05 00

სპორტის, ახალგაზრობისა და კულტურის მიმართულებების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში.

მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების



ჩატარება.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის, ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 00		4669.004
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის კულტურის განათლებისა და სპორტის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული დაწესებულებებისა და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:</p> <p>ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლა</p> <p>ა(ა)იპ სსსდ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა</p> <p>ა(ა)იპ ჭიათურის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა</p> <p>სპორტული ობიექტები სარაგბო კლუბი მათე.</p> <p>ა(ა)იპ ჭიათურის კულტურის ცენტრი ცენტრი: ა(ა)იპ №1 დ №2 მუსიკალური სკოლა , ა(ა)იპ სხვითი ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა, (მოიცავს 16 ბიბლიოთეკას) განსაზღვრულია გრანტი თეატრის</p> <p>კულტურული ღონისძიებების დაფინანსება</p> <p>რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა</p> <p>ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში და სახელოვნებო წრეებში რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული და კულტურული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. 		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		3085.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის კულტურის განათლებისა და სპორტის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:</p> <p>ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლა</p> <p>ა(ა)იპ სსსდ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა</p> <p>ა(ა)იპ ჭიათურის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; 		



- მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;
 - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		1885.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტის სხვადასხვა დარგის (ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ №27 კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს მიუდოს, კრივის, მინი ფეხბურთის, ტაეკვანდოს, მძლეოსნობის, ცურვის, მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ფარიკაობის, კლასიკური ჭიდაობის, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის და ჭადრაკის სპორტულ წრეებს, საკუთარი შემოსავალი განისაზღვრება აბონიმენტებიდან და ბილეთებიდან (საცურაო აუზი) რომლითაც ძირითადად ფინანსდება ოფისის, სამედიცინო და სხვა ხარჯი.</p> <p>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ №27 კომპლექსურ სპორტულ სკოლას საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს. სულ აღნიშნულ სკოლაში სპორტის 16 სახეობაში დადის 549 ბავშვი, მათ შორის: გოგო 104 და ბიჭი 445;</p> <p>პროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაცია და წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 02		530.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაგბის სპორტული სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს 115 (ბიჭი) სპორტსმენს და 13 მწვრთნელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ რაგბის სპორტულ სკოლას საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება მორაგბეებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს. სკოლაში არის ხუთი ასაკობრივი გუნდი და ორი ჯაბუკთა გუნდი „ა“ და „ბ“ ლიგაში მონაწილეობისათვის.</p> <p>პროგრამის მიზანია რაგბის პოპულარიზაცია და წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		700.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა		



სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურა(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა საიდანაც ხორციელდება სკოლის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და ადმინისტრაციული პერსონალი სხელფასს. პროგრამის მიზანია ფეხბურთის პოპულარიზაცია და წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე. ა(ა)იპ-ში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 260 ბავშვს, (ბიჭი).

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		400.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გაეწევა ა(ა)იპ ჭიათურის მორაგბეთა კლუბ „მათეს“, რომელიც ასპარეზობს პირველ ლიგაში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია მშენებლობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		1154.004
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულებების ფარგლებში ქ.ჭიათურაში „უნივერსალის მიმდებარე ტერიტორიაზე საცურაო აუზის მოწყობის სამუშაოები, სოფ. ჭილოვანში მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობის სამუშაოები და ქალაქ ჭიათურაში საშევარდნოს კლდეზე ვია ფერატას მოწყობა ობიექტებს ჯიაიზეტი-ის გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება-ს ფარგლებში. ობიექტებს გაეწევათ ზედამხედველობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02		4520.000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ა(ა)იპ ჭიათურის კულტურის ცენტრი ცენტრი: ა(ა)იპ №1 დ №2 მუსიკალური სკოლა , ა(ა)იპ სხვითი ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა, (მოიცავს 16 ბიბლიოთეკას) განსაზღვრულია გრანტი თეატრის გადასაცემად და დაფინანსდება რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობები, აგრეთვე განხორციელდება ახალგაზრდული პროგრამების მხარდაჭერა და კულტურის სფეროს ღონისძიებების დაფინანსება.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		4210.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ა(ა)იპ ჭიათურის კულტურის ცენტრი: სსიპ თეატრი ა(ა)იპ №1 და № 2 მუსიკალური სკოლა , ა(ა)იპ სახვითი ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა, (მოიცავს 16 ბიბლიოთეკას)		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუსიკალური განათლების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		610.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სანდრო კავსაძის სახელობის №1 სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: კლასიკური და ხალხური მუსიკის პოპულარიზაცია, პროპაგანდა. მოზარდი თაობის ინტელექტუალურ მსმენელად ჩამოყალიბება, მოსწავლეთა საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწა, შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. სუბსიდიით ფინანსდება სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი ხარჯი. სკოლა აერთიანებს 410 მოსწავლეს (მათ შორის: 250 გოგო; 160 ბიჭი,		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუსიკალური განათლების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		350.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ გ.თხელიძის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა ა(ა)იპ გ.თხელიძის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლას მუსიკალური განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. სუბსიდიით ფინანსდება სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი ხარჯი. სკოლა აერთიანებს 166 მოსწავლეს (მათ შორის: 116 გოგო; 50 ბიჭი).		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახვითი ხელოვნების განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		235.000



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების სკოლა
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების სკოლას. სადაც სწავლობს 245 ბავშვი(მათ შორის გოგო 185; 60 ბიჭი). სახვითი ხელოვნების განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; მონაწილეობის მიღება კონკურსებსა და გამოფენებში.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საბიბლიოთეკო ქსელის ფუნქციონირება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 04		515.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა. ქვეპროგრამის მიზანია საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა დამუშავება, საკატალოგო მუშაობის წარმოება, საცნობარო ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო პროცესში ელექტრონული საცნობარო ბაზის შექმნა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 06		50.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გრანტი მიეცემა სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრს ფესტივალ იმერეთში მონაწილეობის საწევროს გადასახდელად თეატრის ფუნქციონირებისათვის მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ჭიათურის კულტურის ცენტრი	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 07		2450.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი რომლის მიზანია კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია, ტეტრალური ხელოვნების საგუნდო და ფოლკლორული ანსამბლების განვითარება და პოპულარიზაცია და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. მასში ფუნქციონირებს სამი მუზეუმი:		



და მიზანი	1)აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახლ-მუზეუმი- სოფელ ცხრუკვეთში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ჭიათურაში და მთამსვლელ და-ძმა ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმი სოფ.ხრეთში. სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი აერთიანებს 1800 მოსწავლეს(მათ შორის: გოგო 936 და ბიჭი 864).
-----------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		160.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ორგანიზებას; განხორციელება საახალწლო ღონისძიებისა და სახალხო დღესასწაულის, „ჭიათურობის დაფინანსება“ და სხვა ღონისძიებების დაფინანსება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		150.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკლესია მონასტრების მშენებლობისა და სხვა მიმდინარე საჭიროებისათვის ფინანსური დახმარების გაწევას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 03		140.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <p>საქართველოს ღირსშესანიშნაობებისა და ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად ტრანსპორტით უზრუნველყოფა; ინტელექტუალურ-შემოქმედებით ღონისძიებებში მონაჭილეტა ტრანსპორტირება; სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა ტრანსპორტირება;</p> <p>ინტელექტუალურ-შემოქმედებით-შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა;</p> <p>დასვენება გამაჯანსაღებელ ბანაკებში;</p> <p>წარმატებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელების, წარმატებული ახალგაზრდების, წარმატებული პედაგოგების, რეგიონალურ და მუნიციპალურ ტურნირებზე მონაწილე გუნდების და ინდივიდი სპორტსმენების დაჯილდოება;</p> <p>ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოება'</p>		



წარჩინებული სტუდენტების დაჯილდოება ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება;

სასკოლო სპორტული ოლიმპიადაში მონაწილეებისათვის სპორტული ფორმების შექმნა;

მუხლი 17.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 06 00

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება 06 01

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის სუბსიდირება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი	06 01 01		386.300
პროგრამის აღწერა		<p>ა(ა)იპ ჭიათურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი</p> <p>აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ ჭიათურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი</p> <p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის:</p> <p>ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;</p> <p>ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;</p> <p>გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;</p> <p>დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი;</p> <p>ე) პროფილაქტიკური აკრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებლებისათვის;</p> <p>ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;</p> <p>ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;</p> <p>თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p>	



პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:

1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი;
2. იმუნიზაცია;
3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა;
4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

პროგრამის მიზანი მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხარდამჭერი პროგრამები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		157.000
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში თანადაფინანსება გაეწევა საქართველოს წითელი ჯვრის ჭიათურის წარმომადგენლობას ასევე თანადაფინანსება გაეწევა ნეირობალანსირების ცენტრს ჭიათურაში.		

სოციალური პროგრამები 06 02

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური დაცვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		2989.800
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობას.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ზემოთ აღნიშნული დაავადებების ფარგლებში ჭიათურის სოციალური დაფინანსების წესის შესახებ საკრებულოს დადგენილების გათვალისწინებით ბენეფიციართა მომართვიანობის დაკმაყოფილება. დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა.		



დაკმაყოფილებული მომართვიანობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		1261.400
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:</p> <p>ა) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება;</p> <p>ბ) პროგრამულ ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება;</p> <p>გ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება;</p> <p>დ) სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადების მქონე პირთა ფინანსური დახმარება;</p> <p>ე) რადიაქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება;</p> <p>პროგრამის მიზანია ზემოთ აღნიშნული დაავადებების ფარგლებში ჭიათურის სოციალური დაფინანსების წესის შესახებ საკრებულოს დადგენილების გათვალისწინებით ბენეფიციართა მომართვიანობის დაკმაყოფილება.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. დაკმაყოფილებული მომართვიანობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამკურნალო საოპერაციო და სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური გამოკვლევების თანადაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 01		868.400
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <p>ა) გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს მოქმედი საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები და კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მოქმედი პროგრამები. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) ექიმის დანიშნულების მიხედვით სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური გამოკვლევების, მათ შორის მაღალტექნოლოგიური კვლევის ხარჯები. ასევე დაფინანსდება იმ ექიმი სპეციალისტის კონსულტაცია, რომელიც აუცილებელია კონკრეტული ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური თუ მაღალტექნოლოგიური კვლევის განხორციელების პროცესში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით;</p> <p>გ) ამბულატორიულ ან/და სტაციონარულ დონეზე ჩასატარებელი გეგმიური სამედიცინო სამკურნალო/სარეაბილიტაციო პროცედურების ხარჯები, მხოლოდ ნერვ-კუნთოვანი დაზიანების მქონე პაციენტებისათვის 0-დან 14 წლამდე, ხოლო მოზრდილებისათვის მძიმე ფორმის შეძენილი</p>		



ქვეპროგრამის აღწერა	<p>ნერვ-კუნთოვანი დაავადების ან/და ტრავმის შედეგად განვითარებული ნერვ-კუნთოვანი დაზიანების შემთხვევაში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;</p> <p>დ) ონკოლოგიურ ავადმყოფთა ამბულატორიულ-სტაციონარული მკურნალობა, კერძოდ: ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, სხივური თერაპია, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს მოქმედი საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები და კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მოქმედი პროგრამები. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;</p> <p>ე) მშობიარობის, გართულებული მშობიარობისა და სამედიცინო ჩვენებით საკეისრო კვეთის დამატებითი ხარჯი, რომელიც არ ანაზღაურდება მოქმედი სახელმწიფო და კერძო სამედიცინო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;</p> <p>ვ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ჭიათურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტიზმის სპექტრის დარღვევების (ძირითადი დიაგნოზით "ICD-10" კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები „F 84.0.,“F 84.9“) მქონე 2-დან 17 წლის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეთა სარეაბილიტაციო-სამედიცინო მომსახურების სახეები, როგორებიცაა: შეფასება, ქცევის თერაპია, მეტყველების თერაპია, სენსორული თერაპია, ფსიქოთერაპია, ხელოვნებით თერაპია, ფიზიკური თერაპია, ოკუპაციური თერაპია, სპეციალური პედაგოგის დახმარება;</p> <p>გაწეული მომსახურება ანაზღაურდება ვაუჩერული მეთოდით, თითოეულ ბენეფიციარზე 420 ლარის ოდენობით. (განფასება ეფუძნება საქართველოში არსებულ პრაქტიკასა და ამ სფეროში მომუშავე ცენტრების ფასებს). მოსარგებლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააჩნია არჩევანის უფლება მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების არჩევისას, რასაც იგი აფიქსირებს მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ განაცხადის ფორმაში.</p> <p>ამ პუნქტებით განსაზღვრული დახმარების მიმღებია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქე. განხორციელდება გასული წლის დავალიანების დაფარვა.</p>
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა.</p> <p>დაკმაყოფილებული მომართვიანობა</p>

ქვეპროგრამის დასახელება	<p>კოდი</p> <p>06 02 01 02</p>	<p>პროგრამულ ჰემოდიალიზს დაქვემდებარებულ პირთა ყოველთვიური ფინანსური დახმარება</p>	<p>2025 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> <p>48.000</p>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამით განსაზღვრული ჰემოდიალიზისა და მულტივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება, გაიცემა ყოველთვიურად 120 ლარის ოდენობით თითოეულ ბენეფიციარზე. აღნიშნული დახმარებით სარგებლობენ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავე დროს ფაქტობრივად მცხოვრები პირები, რომლებიც დაავადებულნი არიან თირკმლის ტერმინალური უკმარისობით და წარმომადგენენ ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	<p>კოდი</p> <p>06 02 01 03</p>	<p>მკვეთრად შზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება</p>	<p>2025 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> <p>190.0</p>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა:		
	<p>ა) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის (პირველი ჯგუფის) მქონე პირებს, კომუნალური გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა სეზონის მიხედვით: 01 ნოემბრიდან 01 მაისამდე - ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით; 01 მაისიდან 01 ნოემბრამდე - ყოველთვიურად 20 ლარის ოდენობით.</p> <p>ბ) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის და 18 წლამდე ასაკის მქონე პირებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად - 100 ლარის ოდენობით.</p> <p>განხორციელდება გასული წლის დავალიანების დაფარვა.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 04		250.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით განსაზღვრულ სიცოცხლისათვის საშიშ და „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილების დანართი 17.2-ით განსაზღვრულ იშვიათი დაავადების მქონე მოქალაქეებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით, მხოლოდ დაავადების პირველი ტიპის მქონე პაციენტებს. განხორციელდება გასული წლის დავალიანების დაფარვა.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რადიაქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ შეზღუდული სტატუსის მქონე პირთა დახმარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 05		5.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, რადიაქტიური ნივთიერების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ომის ვეტერანთა დაკრძალვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		3.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ავღანეთის ომის და მეორე მსოფლიო ომის მეზობლობა და დუპის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა. თანხის ოდენობა შეადგენს 250 ლარს.		
-------------------------------	--	--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბენეფიციართა უფასო სასაბილოთი მომსახურება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		264.000
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი, ფიზიკური ან/და გონებრივი შეზღუდვის მქონე პირების და მარტოხელა პირების (რომელთა ყოველთვიური შემოსავალი სახელმწიფოს მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია და რომელსაც არ აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სოფლის შინამეურნეობისაგან შემოსავალი) კვებით უზრუნველყოფა. მომსახურება გაეწევა 185 მდე ბენეფიციარს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს მომსახურება გაეწევა ტენდერში გამარჯვებული პირის მიერ.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის სოციალური დაცვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		85.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება: ა) ხარდაზმულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება; ბ) დევნილთა სოციალური დაცვა; გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და დუპის ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება; დ) მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხანდაზმულთა ერთჯერადი სოციალური დაცვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04 01		25.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემათ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ხანდაზმულებს (95 წელი და ზევით) ერთჯერადად წელიწადში 500 ლარის ოდენობით.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დევნილთა სოციალური დაცვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04 02		11.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაეწევა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დევნილებს. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 100 ლარს. განხორციელდება გასული წლის დავალიანების დაფარვა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04 03		4.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა ჭიათურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს, დახმარება გაიცემა ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 200 ლარს.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04 04		45.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარჩენალდაკარგულ პირს (ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილს (შვილებს) 18 წლის ასაკის მიღწევამდე). დახმარება გაიცემა ერთჯერადად წლის განმავლობაში 200 ლარის ოდენობით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04 05		1206.400
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:</p> <p>ა) ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა;</p> <p>ბ) მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა;</p> <p>გ) შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა;</p> <p>დ) საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა</p>
-------------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05 01		70.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
--	--

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა შემდეგი სახის დახმარება:</p> <p>ა) პირველი შვილის დაბადებისას - 100 ლარი.</p> <p>ბ) მეორე შვილის დაბადებისას - 150 ლარი.</p> <p>გ) მესამე შვილის დაბადებისას - 200 ლარი.</p> <p>დ) მეოთხე შვილის დაბადებისას - 300 ლარი.</p> <p>ე) მეხუთე შვილის დაბადებისას - 350 ლარი.</p> <p>ვ) მეექვსე შვილის დაბადებისას - 500 ლარი.</p> <p>ზ) მეშვიდე შვილის დაბადებისას - 700 ლარი.</p> <p>თ) მერვე და შემდგომი შვილის დაბადებისას - 1000 ლარი.</p> <p>ი) ტყუპების დაბადების შემთხვევაში დამატებით 500 ლარი.</p> <p>ამ პუნქტებით განსაზღვრული დახმარების მიმღებია ჭიათურის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრები მოქალაქე-განხორციელებეა გასული წლის დავალიანების დაფარვა.</p>
-------------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05 02		145.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
--	--

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღებია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი შვილი). გაიცემა ერთჯერადი დახმარება 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით, ხოლო ბავშვს, რომელიც აგრძელებს სწავლას უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელში დახმარების მიცემა გაუგრძელდება 22 წლამდე. მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს (5 და მეტი არასრულწლოვანი შვილი) ასევე კომუნალური ხარჯების თანადაფინანსებისათვის მიეცემა დახმარება სეზონის მიხედვით: 1 ნოემბრიდან 1 მაისამდე – ყოველთვიურად 120 ლარის ოდენობით; 1 მაისიდან 1 ნოემბრამდე – ყოველთვიურად 60 ლარის ოდენობით.</p>
-------------------------------	---



განხორციელება გასული წლის დავალიანების დაფარვა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05 03		130.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრებ შემდეგ ოჯახებს, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.</p> <p>ამ პუნქტებით განსაზღვრულ ბენეფიციარებს დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით. ასევე ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხა (ერთ ოჯახზე წელიწადში არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა), კერძოდ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვანი ბავშვიანი ოჯახებისთვის ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიერ შედგენილი ინდივიდუალური განვითარების გეგმით განსაზღვრული საჭიროებების მოგვარების მიზნით.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05 04		861.400
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა დახმარება ყოველთვიურად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე იმ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახებზე, რომელთა ბინის ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია და საფრთხის შემცველია ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.</p> <p>2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა დახმარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მეწყერის, სხვა სტიქიური ან სხვა რაიმე მოვლენის შედეგად დაზიანებულ კერძო საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახებზე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან აკრედიტირებული პირის მიერ საცხოვრებელი სახლის 2021 წლის შემდგომ პერიოდში საცხოვრებლად უვარგისობის თაობაზე გაცემული დასკვნის საფუძველზე. აგრეთვე დახმარება შესაძლებელია გაიცეს მუნიციპალიტეტში შექმნილი შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებით დაკომპლექტებული კომისიის მიერ კერძო საცხოვრებელი სახლის საცხოვრებლად უვარგისობის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენის საფუძველზე.</p> <p>3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დახმარების მიმღებმა მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:</p> <p>ა) წერილობითი განცხადება;</p> <p>ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;</p> <p>გ) ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის საცხოვრებლად უვარგისობის თაობაზე;</p> <p>დ) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის საცხოვრებლად უვარგისობის დადასტურების დღიდან 2 თვის ან მეტი ვადით ადრე ფაქტობრივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი – ნოტარიულად დამოწმებული მოწმეთა ჩვენება, კომუნალური გადასახადების ან/და მომსახურების საფასურის/ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს დახმარების მიმღები ოჯახის მრავალსართულიან</p>		



საცხოვრებელ სახლში ფაქტობრივად ცხოვრებას;

ე) დახმარება გაიცემა საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად არაუმეტეს 550 ლარისა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ყოველთვიურად დროებითი გამოსახლების დღიდან პრობლემის აღმოფხვრისათვის საჭირო შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების განხორციელებამდე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დახმარების მიმღებმა მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ხელშეკრულება საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის შესახებ და მესაკუთრის საბანკო ანგარიში;

დ) დახმარება გაიცემა საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად არაუმეტეს 550 ლარისა, დაქირავებული საცხოვრებელი ფართობის მესაკუთრის საბანკო ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების წესით.“ ასევე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები/ბავშვებიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხა თვეში არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა. ქირით უზრუნველყოფის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დახმარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		70.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაიცემა სტიქიური მოვლენების და სხვა დაუძლეველი ძალის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, რომელსაც დაუზიანდა საცხოვრებელი სახლი ან/და სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობა ან რომელმაც მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ხოლო მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში- გარდაცვლილის ოჯახი. საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში დახმარების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 5000 ლარს. დამხმარე შენობა-ნაგებობის შემთხვევაში დაზიანების შემთხვევაში დახმარების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 1000 ლარს.</p> <p>სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ომის ვეტერანთა დახმარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 07		100.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება მიეცემა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს 500 ლარის ოდენობით. ავღანეთის ომის მონაწილეებს, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლებს დახმარება გაეწევათ ერთჯერადად თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 300 ლარს.</p>		



თავი III. ჭიათურის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 18. ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ორგ. კოდი	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	2023 წლის დამტ. ფაქტი			2024 წლის დაზუსტ. გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	44 728,459	12 666,129	32 062,330	59 500,735	21 519,218	37 981,517	55 729,474	16 823,069	38 906,405
	მომუშავეთა რიცხოვნობა	1 884,000	0,000	1 884,000	1 947,000	0,000	1 947,000	1 981,000	0,000	1 981,000
	ხარჯები	29 007,333	2 229,723	26 777,610	34 094,451	3 145,007	30 949,444	38 705,732	3 179,017	35 526,715
	შრომის ანაზღაურება	3 702,267	169,634	3 532,633	3 951,191	0,000	3 951,191	4 282,000	29,000	4 253,000
	საქონელი და მომსახურება	2 831,043	1 322,975	1 508,068	3 186,247	1 630,007	1 556,240	3 493,178	1 442,178	2 051,000
	ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
	პროცენტი	28,054	0,000	28,054	15,231	0,000	15,231	16,000	0,000	16,000
	სუბსიდიები	18 309,438	170,103	18 139,335	21 672,171	260,000	21 412,171	25 231,873	307,673	24 924,200
	გრანტები	110,459	0,000	110,459	82,700	0,000	82,700	100,000	0,000	100,000
	სოციალური უზრუნველყოფა	1 962,274	10,453	1 951,821	2 585,492	10,000	2 575,492	3 084,800	0,000	3 084,800
	სხვა ხარჯები	2 063,798	556,558	1 507,240	2 601,419	1 245,000	1 356,419	2 497,881	1 400,166	1 097,715
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15 644,342	10 436,406	5 207,936	25 329,492	18 374,211	6 955,281	16 953,742	13 644,052	3 309,690
	ძირითადი აქტივები	15 644,342	10 436,406	5 207,936	25 329,492	18 374,211	6 955,281	16 953,742	13 644,052	3 309,690
	ფინანსური აქტივების ზრდა	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
	საშინაო	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
	საგარეო	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000



	მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
